სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება
ხელშეკრულება N8

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დადებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

ქ. ბათუმი 06 იანვარი 2014 წ.

ერთის მხრივ, შპს ,, ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი" (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის მინდია კახიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,ალდა" წარმოდგენილი დირექტორის ალექსანდრე კურდღელაშვილის სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი") სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს სამუშაოებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.6. ,,მომსახურება'' - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: ,,მიმწოდებელმა'' უზრუნველყოს აჭარის რეგიონში არსებული ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მობილური ორგანიზებისათვის სარეტრანსლაციო (უკაბელო ალტერნატიული ინფორამციის გადაცემათა სისტემა) სისტემათა ფუნქციონირებისა და რეტრანსლატორის ტექნიკური მართვის ტექნიკურ-პროფილაქტიკური მომსახურებისა და საჭიროების შემთხვევაში სარემონტო-შესაკეთებელი სამუშაოების (შემდეგში ,,მომსახურება'') მიწოდება.

2.2. კლასიფიკატორის კოდი: 50300000

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1590 (ერთი ათას ხუთასოთხმოცდაათი) ლარს.

3.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება თვეში შეადგენს 530 ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისიწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო (გადარიცხვა) ეროვნულ ვალუტაში.

4.2.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს (სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები და საზოგადოების სახსრები) არაუგვიანეს ყოველი საანგარიშო თვის 15 რიცხვისა, რაზედაც წარმოდგენილი უნდა იქნას საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. მომსახურების მიწოდების ადგილად განისაზღვრება შემსყიდველის მისამართი.

5.2. მომსახურების მიწოდება შემსყიდველისათვის უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

6. გარანტია

6.1 ამ ხელშეკრულების თანახმად ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად, მხარეები იძლევიან გარანტიას, რომ:

6.2 მათი წარმომადგენელი ფიზიკური პირები აღჭურვილნი არიან სათანადო უფლებამოსილებით ხელშეკრულების და ამ გარიგებასთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი დოკუმენტის ხელმოსაწერად, რომლის მიზნით ისინი მოქმედენ სრულ შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან.

6.3 მხარეთა მიერ შესრულებულია ან /და დაკმაყოფილებულია ყველა ის მოთხოვნა, აგრეთვე მიღებულა ყველა სახის ნებართვა, ლიცენზია ან თანხმობა, რაც აუცილებელია და უკავშირდება წინამდებარე ხელკშეკრულებას.

6.4. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის მათ არა აქვთ დადებული რაიმე ხელშეკრულება, შეთანხმება ან არა აქვთ ნაკისრი წერილობითი თუ რაიმე სახის ვალდებულება, რაც შეაფერხებს, შეაჩერებს ან შეუძლებელს გახდის ამ ხელშეკრულებაში მოცემული პირობების შესრულებას.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. ,,შემსყიდველის" მოთხოვნისა და შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტებით და რეგულაციებით გათვალისწინებული პირობების თანახმად ,,მიმწოდებელი'' იღებს ვალდებულებას განახორციელოს შემდეგი სახის მომსახურება:

ა) ინსპექტირება ვიზუალური დეფექტების აღმოჩენის მიზნით;

ბ) ინსპექტირება პროგრამული დეფექტების აღმოჩენის მიზნით;

გ) ტექნიკური პრობლემის, ხარვეზებისა და გაუმართაობის დიაგნოსტიკა, გამოვლენა და აღმოფხვრა;

დ) მექანიკური ნაწილების ცვეთის შემოწმება;

ე) კრიტიკული (მაღალი რისლის) კომპონენტების პერიოდული შემოწმება უსაფრთხოების ამაღლების მიზნით და მათი შეცვლა საჭიროების შემთხვევაში;

ვ) პრევენციული კონტროლი უსაფრთხოებისა და საიმედოობის ამაღლების მიზნით;

ზ) მწყობრიდან გამოსული ნაწილებისა და კომპონენტების, მათ შორის, ტექნოლოგიური მასალების გამოცვლა;

თ) ფუნქციური მახასიათებლების შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში კალიბრება სპეციალური ტესტ-სისტემების და ფანტომების გამოყენებით;

ი) ფუნქციური შესაძლებლობების ამაღლების მიზნით ტექნიკური მოდიფიკაციების ინსტალაცია, ნაწილებისა და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის ჩათვლით;
კ) აპარატის ტექნიკური მოდიფიკაცია, სტრუქტურული ცვლილებები, მონტაჟი და დემონტაჟი, ტრანსპორტირება

7.2 ,,მიმწოდებელი'' ვალდებულია ,,შემსყიდველის'' მიერ შემსრულებლისათვის მომსახურების გაწევის აუცილებლობის შესახებ შეტყობინების მიწოდებისთანავე ყოველგვარი დაყოვნების გარეშე მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.
7.3 მომსახურების სპეციფიკიდან გამომდინარე მხარეთა შეთანხმებით საჭიროების შემთხვევაში მომსახურება უნდა განხორციელდეს უქმე დღეებშიც.
7.4,,მიმწოდებელი'' ვალდებულია, მომსახურების სახეობიდან გამომდინარე და ,,შემსყიდველის'' მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით, დროულად მიაწოდოს მას ყველა საჭირო დოკუმენტაცია და ტექნიკური ინფორმაცია.
7.5 იმ შემთხვევაში თუ მომსახურების შესრულება შეუძლებელია შეთანხმებულ დროს, ,,მიმწოდებელმა'' დაუყონებლივ უნდა აცნობოს ,,შემსყიდველს'' ამის შესახებ.
7.6 ,,მიმწოდებელი '' ვალდებულია დროულად და კვალიფიციურად განახორციელოს ,,შემსყიდველის'' მიერ მოთხოვნილი მომსახურება.
7.7. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
7.8. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შესაბამისად განსაზღვრული პირი.
8.2. ინსპექტირება გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.
8.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებული იქნას საჯარიმო სანქციები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების **0.1 %.**
9.2. იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების **4%**-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

13. ხელშეკრულების ენა

13.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ორი ეგზემპლიარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ეგზემპლიარი ინახება მიმწოდებელთან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ქ.ბათუმი, პუშკინის ქ.№154	ქ. თბილისი, ბენდელიანის ქ.N3ª
შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი”	შპს „ალდა”
ანგარიშის № ***GE92TB4457736020100006***	*ანგარიშის №GE20BR0000003602021339*
საიდენტიფიკაციო კოდი: ***245426490***	*ს/ნ: 205054723*
მიმღების ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი“-ს ბათუმის ფილიალი.	*მიმღების ბანკი: ს.ს. „ბანკი რესპუბლიკა“*
ბანკის კოდი: ***TBCBGE22***	*ბანკის კოდი: REPLGE22*
დირექტორი	დირექტორი
მიხეილ ჯაბიძე	ალექსანდრე ჯორდღელაშვილი